


**მუსლიმურ ქვეყნებში
არამუსლიმთა უფლებები**



მუსლიმურ ქვეყნებში არამუსლიმთა ზოგადი უფლებები

ჭეშმარიტად, ისლამური სწავლება, მისი ფასეულობები და პრინციპები, მაღლა დგას სხვა ნებისმიერ ფასეულობებსა და პრინციპებზე, რაც კი კაცობრიობას დაუდგენია თავის სასარგებლოდ. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ აღნიშნული რელიგია მოვლენილია ყოვლისმცოდნისა და ყოვლადბრძენისაგან:

أَلَا يَعْلَمُ مَنْ خَلَقَ وَهُوَ اللَّطِيفُ الْخَبِيرُ،

განა არ იცის მან ის, ვინც შექმნა? როცა იგია ყოვლისჩამწვდომი, ყოვლისშემცნობი? “ (მულქ 67:14)

უეჭველად ეს არის წყალობითა და სამართალით აღსავსე რელიგია, როგორც თვით მუსლიმებს შორის, ასევე მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის. ისლამის შარიათის ერთ-ერთი სიდიადე ისაა, რომ იგი ადგენს წესებს, ნორმებს და უფლებებს ადამიანთა ურთიერთობებში. დედამიწის ზურგზე არ არსებობს სხვა რელიგია ან შარიათი, რომელსაც ისლამის მსგავსად გარკვევით აქვს ჩამოყალიბებული ადამიანთა უფლებები.

აქ მოყვანილია ზემოთ ხსენებული უფლებებიდან მხოლოდ რამდენიმე, რომლებსაც ისლამი აღიარებს მუსლიმურ ქვეყნებში მცხოვრებ არამუსლიმთათვის:

პირველი: ადამიანური ღირსების დაცვის უფლება.

მეორე: რწმენის თავისუფლება.

მესამე: თავიანთი წეს-ჩვეულებების დაცვის თავისუფლება

მეოთხე: სამართლიანობის უფლება.

მეხუთე: სიცოცხლის, ქონებისა და ნამუსის ხელშეუხებლობის უფლება.

მეექვსე: კარგად მოპყრობისა და სოციალური სოლიდარობის უფლება.

პირველი : ადამიანური ღირსების დაცვის უფლება

ისლამმა ადამიანის ღირსების დასაცავად თოთხმეტი საუკუნით ადრე დაადგინა შესაბამისი წესები, ვიდრე გაერო მიიღებდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

დავაკვირდეთ ქვემოთ მოყვანილ წმინდა ყურანის აიათებსა და მუჰამედ შუამავლის ﷺ ჰადისებს, რათა გავიგოთ, თუ რამდენად დააფასა ალლაჰმა ადამიანის ღირსება, რომ ანგელოზებს მის წინაშე ქედიც კი მოახრევეინა. უზენაესი ბრძანებს:

وَإِذْ قُلْنَا لِلْمَلَائِكَةِ اسْجُدُوا لِآدَمَ فَسَجَدُوا إِلَّا إِبْلِيسَ أَبَىٰ

და ვუთხარით ანგელოზებს: სეჯდე ადასრულეთ ადამისთვის. და სეჯდე ადასრულეს იბლისის გარდა, რომელმაც უარყო. (ტაჰა 20:116)

შემდეგ განმარტა უზენაესმა, თუ რაში მდგომარეობდა ადამიანის დაფასება:

وَلَقَدْ كَرَّمْنَا بَنِي آدَمَ وَحَمَلْنَاهُمْ فِي الْبَرِّ وَالْبَحْرِ وَرَزَقْنَاهُمْ مِّنَ الطَّيِّبَاتِ وَفَضَّلْنَاهُمْ عَلَىٰ كَثِيرٍ مِّمَّنْ خَلَقْنَا تَفْضِيلًا

და ვფიცავ! ჩვენ ვაკურთხეთ ადამის ძენი, გადავიყვანეთ ისინი ხმელეთსა თუ ზღვაში, ვუწყალობეთ სიკეთენი და ვამჯობინებთ მრავალს მადლით იმათგან, ვინც შევექმენით. (ისრა 17:70)

ალლაჰმა დააფასა ისინი, როდესაც ცოდნა და აზროვნება უწყალობა, შუამავლები წარუგზავნა, წიგნები ჩამოუვლინა, დაიახლოვა ღვთისმოსავნი,

აღავსო ხილული თუ უხილავი წყალობით და შექმნა ისინი უმშვენიერესი გარეგნობით. უზენაესი ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الْإِنْسَانُ مَا غَرَّبَكَ بِرَبِّكَ الْكَرِيمِ

ჰეი ადამიანო, რამ გაცდუნა შენი ღმერთის წინაშე, კურთხეულისა,

الَّذِي خَلَقَكَ فَسَوَّكَ فَعَدَلَكَ

რომელმაც შეგქმნა შენ, მიმოგასწორა და გაგათანაბრა?

فِي أَيِّ صُورَةٍ مَّا شَاءَ رَكَّبَكَ

და როგორც ინება, ისეთი ფორმით ჩამოგაყალიბა.

(ინფიტარ 82:6-8)

მათზე მოიღო უამრავი წყალობა:

وَأَتَّكُمْ مِّنْ كُلِّ مَا سَأَلْتُمُوهُ^٤ وَإِن تَعُدُّوا نِعْمَتَ اللَّهِ لَا تَحْصُوهَا^٥ إِنَّ
الْإِنْسَانَ لَظَلُومٌ كَفَّارٌ

გიბოძათ ყოველი, რასაც თხოვთ და თუ ალლაჰის მოწყალებათა დათვლას შეუდგებით, ვერ დაითვლით. ხოლო ადამიანი, ჭეშმარიტად, უსამართლო და უმადურია. (იბრაჰიმ 14:34)

უზენაესი ასევე ბრძანებს:

يَا أَيُّهَا النَّاسُ اتَّقُوا رَبَّكُمُ الَّذِي خَلَقَكُمْ مِنْ نَفْسٍ وَحِدَةٍ وَخَلَقَ مِنْهَا
زَوْجَهَا وَبَثَّ مِنْهُمَا رِجَالًا كَثِيرًا وَنِسَاءً^٦ وَاتَّقُوا اللَّهَ الَّذِي تَسَاءَلُونَ بِهِ
وَالْأَرْحَامَ^٧ إِنَّ اللَّهَ كَانَ عَلَيْكُمْ رَقِيبًا

ჰეი, ადამიანებო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან, და გააჩინა მისგან მისი მეწყვილე (მეუღლე), და მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰის, რომლის სახელითაც მიმართავთ ერთმანეთს, და გეშინოდეთ ნათესაური კავშირების გაწყვეტისა. ჭეშმარიტად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი! (ნისა 4:1)

ეს ყველაფერი ალლაჰის შუამავალმა ﷺ თოთხმეტი საუკუნით ადრე ერთგვარი აღთქმის სახით პირველმა განუცხადა კაცობრიობას. ის ამბობდა: „ო, ადამიანებო! ჰემმარიტად, თქვენი ღმერთიც ერთია და თქვენი მამაც. გახსოვდეთ, რომ არაბს არანაირი უპირატესობა არ აქვს არა არაბზე და არც არა არაბს - არაბზე, არც შავკანიანს წითურზე და არც წითურს შავკანიანზე, - გარდა ღვთისმოშიშობისა.“ მან იქ მყოფები დაიმოწმა: ღვთის რჯული თქვენთან პირნათლად მოვიტანე თუ არა? იქ მყოფებმა უპასუხეს: დიახ, მოიტანე ალლაჰის შუამავალო! მან ბრძანა: მაშ, აქ მყოფებმა მიაწვდინონ არმყოფებს! შემდეგ გააგრძელა: რომელი თვეა ეს? უთხრეს: ნაკრძალი (წმინდა) თვე. იკითხა: რა დღეა დღეს? უთხრეს: ნაკრძალი (წმინდა) დღე. იკითხა: რომელი ქალაქია ეს? უპასუხეს: ნაკრძალი (წმინდა) ქალაქი. მან თქვა: თქვენი სიცოცხლე, ქონება და ღირსებაც ისეთივე ხელშეუხებელი და წმინდაა, როგორც ეს დღე, ეს ქალაქი და ეს თვე. შემდეგ იკითხა: ღვთის რჯული თქვენთან პირნათლად მოვიტანე თუ არა? იქ მყოფებმა უპასუხეს: დიახ, მოიტანე ალლაჰის შუამავალო! და ბრძანა: მაშ, აქ მყოფებმა მიაწვდინონ არმყოფებს!

წმინდა ყურანი არამუსლიმებთან პოლემიკისას საუკეთესო ფორმის - დიალოგის წარმართვას მოუწოდებს. უზენაესი ბრძანებს:

وَلَا تُجَادِلُوا أَهْلَ الْكِتَابِ إِلَّا بِالَّتِي هِيَ أَحْسَنُ إِلَّا الَّذِينَ ظَلَمُوا مِنْهُمْ ۗ
 وَقُولُوا ءَامَنَّا بِالَّذِي أُنزِلَ إِلَيْنَا وَأُنزِلَ إِلَيْكُمْ وَإِلَهُنَا وَإِلَهُكُمْ وَاحِدٌ وَنَحْنُ لَهُ
 مُسْلِمُونَ

და ნუ შეეკამათებით წიგნის ხალხს, თუ არა იმით, რაც საუკეთესოა, ეს არ ეხება იმათ, ვინც უსამართლოა მათგან, და უთხარით: ვირწმუნეთ იმისა, რაც ჩვენზე გარდმოვევლინა და რაც თქვენზე გარდმოვლენილა. თქვენი ღმერთი და ჩვენი ღმერთი ერთი ღმერთია და ჩვენ მისადმი მუსლიმები(მორჩილები) ვართ. (ანქებუთ 29:46)

ისლამი თავის მიმდევრებს უკრძალავს არამუსლიმთა მრწამსის, მათი წიგნებისა და სათაყვანებლების შეურაცხყოფას. უზენაესი ბრძანებს:

وَلَا تَسُبُّوا الَّذِينَ يَدْعُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ فَيَسُبُّوا اللَّهَ عَدْوًا بِغَيْرِ عِلْمٍ

. და ნუ გაკიცხავთ იმათ, რომელთაც ალლაჰის მაგივრად მოუხმობენ, თორემ ისინიც გაკიცხავენ ალლაჰს მტრობით, უმეცრად. (ან“ამ 6:108)

ქირმანი განმარტავს: ჩვენ ყველა მაცნეზე ჩამოვლენილი წიგნების დაჯერება გვაქვს ნაბრძანები.

აქედან გამომდინარე, მუსლიმები დიდ პატივს სცემენ ყველა შუამავალსა და მაცნეს. მუსლიმთა რწმენის პირობებიდანაა ალლაჰის, ანგელოზების, წიგნების და შუამავლების რწმენა.

მუჰამმედ შუამავალი ﷺ ქებით მოიხსენებს მასზე წინ მყოფ მაცნეებს.

მუჰამმედ შუამავლისგან ﷺ საკმაოდ ბევრი ჰადისია გადმოცემული, სადაც იგი სხვა შუამავლებსა და მაცნეებს ქებით მოიხსენებს.

ქვემოთ მოყვანილი ორი ამბავი საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მუსლიმების მხრიდან არამუსლიმთა პატივისცემის შესახებ:

1 - ალლაჰის შუამავალი ﷺ ფეხზე წამოდგა მაშინ, როდესაც იუდეველის ცხედარი ჩამოატარეს. როდესაც მას უთხრეს, რომ ეს იუდეველის ცხედარი იყო, მან უპასუხა: **მერე, ის სულიერი არ არის?** (ბუხარი, ჯენაიზ, 49/1312.)

2 - ამრ ბინ ალ-ასის მიერ არამუსლიმთა დადებითად მოხსენება. როდესაც მან მოისმინა მუსთევრედ ალ-ყურეშის მიერ გადმოცემული ჰადისი, სადაც მაცნე ﷺ ამბობდა: „დადგება დრო, როდესაც ადამიანებში ბიზანტიელები იქნებიან უმრავლესობა,“ **ამრ ბინ ალ-ასმა თქვა: ეს იმიტომ, რომ მათ** ახასიათებთ ოთხი თვისება:

- (1) ისინი ყველაზე ღმობიერი ხალხია განსაცდელის დროს
- (2) თავსდამტყდარი უბედურებიდან ყველაზე სწრაფად ახერხებენ გამოფხიზლებას
- (3) ბრძოლის ველიდან ჯერ გაიქცევიან და შემდეგ ელვისებრი სისწრაფითა და სიძლიერით აწყობენ თავდასხმას
- (4) ღარიბის, ობლისა და სუსტის მიმართ ყველაზე ხეირიანიები არიან
- (5) და მეხუთე დადებით ხასიათად ყველაზე მეტად გამოდიან უსამართლო მმართველთა წინააღმდეგ. (მუსლიმის, ფითენ 10/2898.)

გასაგრძელებელი

მეორე: რწმენის თავისუფლება

❖ უზენაესი ბრძანებს: „სარწმუნოებაში იძულება არ არსებობს, უკვე გამოერჩია ჭეშმარიტება ცდომილებისგან. ხოლო ვინც უარყოს ტალუთი (სატანა) და ირწმუნოს ალლაჰი, ის მართლაც ჩაეჭიდოს მტკიცე რგოლს, რომელსაც გაწყვეტა არ უწერია. ალლაჰი ყოვლის მსმენი და მცოდნეა.“ (ზაყარა, 2/256.)

❖ ასევე ბრძანებს: „უთხარი: „ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგანაა, ამის შემდეგ ვინც ინებებს, ირწმუნებს და ვინც ინებებს, უარყოფს. უეჭველად, უსამართლოთათვის ჩვენ გავამზადეთ ცეცხლი, რომელიც გარედან შემოერთყმება

მათ. და თუ წყალს მოითხოვენ, დარწყულებული იქნებიან გამდნარ ლითონისთანა წყლით, რომელიც წვავს სახეებს. რაოდენ საძაგელი სასმელია და რაოდენ საზარელი სამყოფელია!“ (ქეჰვ, 18/29.)

❖ ისტორიული წყაროების მიხედვით, **მეფე მანსურ ყალაფუნმა ჰიჯრით 680 წელს შეცდომა დაუშვა** და არამუსლიმ მოქალაქეებს ისლამის მიღება აიძულა, რაზეც გაუწყრნენ მას ისლამის სწავლულები და მოსამართლეები. რამდენიმე თვის შემდეგ იმ მოქალაქეთა უმრავლესობა თავიანთ სარწმუნოებას დაუბრუნდა. იხ. ალ-ბიდაე ვე'ნ-ნიჰაე.

❖ აბუ ბექირ ალ-სიდდიყის რჩევა ჯარის ერთ-ერთი ხელმძღვანელის იეზიდ ბინ აბუ სუფიანის მიმართ - ბრძოლის ველზე გაგზავნამდე: შენ იხილავ ხალხს, რომლებიც ფიქრობენ რომ საკუთარი თავი ღვთისმსახურებას მიუძღვნეს. შენ არ შეეხო მათ და არც იმ საქციელში ჩაერიო, რის გამოც ისინი თვლიან, რომ თავი ღვთისმსახურებას მიუძღვნეს. მე შენ ასევე მოგცემ ათ რჩევას:

- (1) არ დახოცო ქალები
- (2) არც ბავშვები
- (3) არც მოხუცები
- (4) არ მოჭრა მსხმოიარე ხეები
- (5) არ დაანგრიო ნაგებობები
- (6) არ დაკლა არც ცხვარი და არც აქლემი, გარდა საკვები მიზნით დაკვლისა
- (7) არ გადაწვა ფუტკრები
- (8) არც გაფანტო ისინი
- (9) არ მოიპარო ნადავლიდან
- (10) და ნუ იქნები მხდალი. (მუვატა, ჯიჰად, 1/1292, 1293.)

უმარ ბინ ხატაბის დაცვის სიგელი იერუსალიმის მკვიდრთა მიმართ:

ამ დაცვის სიგელს გასცემს ალლაჰი მსახური უმარი (მორწმუნეთა მბრძანებელი) იერუსალიმის მკვიდრთათვის. დაცვის სიგელით გათვალისწინებულ იქნას მათი სიცოცხლის, ქონების, **ეკლესიების, ჯვრების,** ავადმყოფთა, კარგად მყოფთა თუ მათი თემის სხვა მიმდევართა ხელშეუხებლობა. არ მოხდეს მათ ეკლესიებში შესახლება, არც **დანგრევა**, არც ფერი მოაკლდეს მათ სივრცეს, არც ჯვრებს და არც სხვა ქონებას. **არ მოხდეს მათი დამცირება თავიანთი რწმენის გამო**, მათგან არცერთს არ მიადგეს ზიანი და არცერთმა ებრაელმა არ იცხოვროს მათთან ერთად იერუსალიმში. (ტაბერის ისტორია, ტ. 3, გვ. 609.)

მუსლიმებმა მართლაც დაიცვეს ქრისტიანთა ეკლესიები და ისინი თავისუფლად აღასრულებდნენ თავიანთ ღვთისმსახურებებსა და რიტუალებს.

დამასკელმა ქრისტიანებმა აბუ ამირ ბინ ალ-ჯერრაჰსს, - რომელიც სამაგალითო სამხედრო მეთაური იყო, - შემდეგი წერილი გაუგზავნეს:

„ო, მუსლიმებო! თქვენ ჩვენთვის უფრო სასურველი ხართ, ვიდრე რომაელები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენი სარწმუნოების მიმდევარნი

არიან. თქვენ უფრო ერთგულნი და კეთილგანწყობილნი ხართ ჩვენ მიმართ, თქვენ უფრო მეტად გვიცავთ უსამართლობისგან და უკეთესი მმართველნი ხართ ჩვენთვის.“ (იბნი ასაქირი, დამასკოს ისტორია, ტ. 41, გვ. 130.)

მესამე: წეს-ჩვეულებების დაცვის თავისუფლება

1. ისინი თავისუფლები არიან ზექათის გადახდისგან.
2. მათთვის სავალდებულო არ არის მუსლიმებთან ერთად ჯიჰადში მონაწილეობის მიღება.
3. დაოჯახებისა და განქორწინების თავიანთი წესისამებრ შესრულების თავისუფლება.
4. შარიათის მიერ გათვალისწინებული დანაშაულებიდან მხოლოდ იმათზე მიეზღვებათ სასჯელი, რომლებიც მათი რწმენის მიხედვითაც დანაშაულად ითვლება, როგორცაა ქურდობა, მრუშობა და ა.შ. ხოლო რის მიმართაც მათ სწამთ, რომ ჰალალაა (ნებადართული), ასეთი საქციელის გამო არ დაისჯებიან, თუნდაც ისლამის შარიათის მიხედვით დანაშაულად ითვლებოდეს. მაგალითად ღვინის დალევა და ა.შ.
5. მათ აქვთ თავიანთი სასამართლოები, სადაც ერთმანეთში თავიანთი რჯულის შესაბამისად შეუძლიათ გასამართლება. ასევე სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ მუსლიმურ სასამართლოს. „თუ შენთან მოვლენ, განსაჯე შენ მათ შორის ან პირი იბრუნე მათგან, და თუ პირს იბრუნებ, ვერაფერს გავნებენ. ხოლო თუ განსჯი, მაშინ სამართლიანად განსაჯე მათ შორის. ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს სამართლიანნი.“ (მაიდე, 5/42.)

სიმართლე ისაა, რომ კაცობრიობა არ იცნობს არაბებზე უფრო ტოლერანტ დამპყრობლებს და არც მათი რელიგიის მსგავსად ტოლერანტულ რელიგიას. ციტატა: გუსტავ ლე ბონის არაბული ცივილიზაციიდან.

მეოთხე: სამართლიანობის უფლება

ისლამი სამართლის გზამკვლევა:

- უზენაესი ბრძანებს: „ეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სამართლიანობის აღმდგენი მოწმეები იყავით ალლაჰისთვის.“ (ნისა, 4/135.)
- უზენაესი ასევე ბრძანებს: „ჭეშმარიტად, ალლაჰი გიბრძანებთ, რომ ამანათი პატრონს დაუბრუნოთ და როცა ადამიანებს შორის მსაჯულობთ, სამართლიანად იმსაჯულოთ.“ (ნისა, 4/58.)

- უზენაესი კიდევ ბრძანებს: „ეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით მტკიცენი, ალლაჰისთვის სამართლიანად დამმოწმებელნი და ხალხის რომელიმე ჯგუფის მიმართ სიძულვილმა არ გაიძულოთ, რომ არ იქცეოდეთ სამართლიანად. იყავით სამართლიანი, რამეთუ იგი ყველაზე ახლოსაა ღვთისმოშიშობასთან.“ (ნისა, 4/8.)

- სასჯელს ექვემდებარება მუსლიმი ქურდიც, თუკი მოიპარავს არამუსლიმის ქონებას და იგივე სასჯელი აღსრულდება არამუსლიმის მიმართაც, თუკი მუსლიმის ქონებას მოიპარავს.

- ასევე სასჯელს დაექვემდებარება მუსლიმი, რომელმაც მრუშობის ცილი დასწამა არამუსლიმ კაცს ან ქალს. ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: „ყურადღებით! ვინც უსამართლოდ მოექცეს არამუსლიმ მოქალაქეს, ან რამე მიაკლოს, ან მის შესაძლებლობებზე უფრო მეტი დააკისროს, ან თავისი ნების საწინააღმდეგოდ წაართვას რამე, განკითხვის დღეს მისი მოდავე მე ვიქნები.“ (აბუ დავუდ, ხარაჯ 20/3052.)

- აბუ უბეიდი თავის წიგნში გადმოსცემს, რომ ხალიფა ომარ ბინ ხატტაბმა შეამჩნია მოხუცი ებრაელი, რომელიც თავს მათხოვრობით ირჩენდა. მან უთხრა: შენ წინაშე არასწორი ვიქნებით, თუკი ახალგაზრდობისას შენგან ჯიზიას ვღებულობდით და ახლა, მოხუცებულობაში მიგატოვებთ! შემდეგ სახელმწიფო ხაზინიდან საკმარისი ანაზღაურება დაუნიშნა. (ალ-ამვალ, ტ. 1, გვ. 56. 3.5. 119.)

**მეხუთე: სიცოცხლის, ქონების და ღირსების
ხელშეუხებლობის უფლება**

მათი უფლებაა დაცული იყვნენ ყოველგვარი აგრესიისგან:

სიცოცხლე ღვთის მიერ ბოძებული საუნჯეა და ხელშეუხებელია ყველასათვის, როგორც ინდივიდებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან ისინი ყოველგვარი აგრესიისგან.

ისლამმა მრავალი საუკუნით ადრე გასცა ბრძანება კერძო და საჯარო საკუთრების დაცვის შესახებ, ვიდრე საერთაშორისო შეთანხმებები გაფორმდებოდა მათი დაცვის შესახებ.

სწორედ ეს უფლებებია გარანტი თავდაცვის, შეწყალებისა და პატიების უფლებისა.

ისლამი ასევე იცავს არამუსლიმთა სამემკვიდრეო უფლებებს.

1. ალლაჰის შუამავალმა ﷻ თქვა: „ვინც მოკლას ადამიანი, რომელთანაც მუსლიმებს სამშვიდობო ზავი აქვთ, ის სამოთხის სუნსაც ვერ იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ სამოთხის სურნელება ორმოცი წლის სავალი გზიდანაც იგრძნობა.“ (ბუხარი, დათ 30/6914.)

2. ისლამური სახელმწიფოს ვალია, დაიცვას არამუსლიმები თავიანთ მიწებზე, იბრძოლოს მათ გარეშე, გამოიხსნას მათი ტყვეები - იმ ჯიზიას სანაცვლოდ, რასაც ისინი იხდიან. (იბნი ჰაჰმ)

სასიამოვნო დამოკიდებულებები:

1. რას წერს აბუ იუსუფი წიგნში - „ხარაჯ“:

საჰაბე აბუ უბეიდა ამირ ბინ ჯერრაჰმა, როდესაც დამასკო აიღო, მათთან სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა და ჯიზია დაუწესა. მოგვიანებით კი, როდესაც მტერთან მარცხი განიცადა, დამასკოს მკვიდრნი შეკრიბა, დაუბრუნა მათ მიერ გადახდილი ჯიზია და უთხრა: თქვენ ქონებას უკან გიბრუნებთ, რათა ჩვენ პირობა დავდეთ, რომ დაგიცავდით გარე მტრებისგან, თუმცა ჩვენ ეს ვერ შევძელით. ამიტომაც გიბრუნებთ, რაც თქვენ გადაგვიხადეთ. თუ ალლაჰი დახმარებას გვიწყალობებს მტრის წინააღმდეგ და გავიმარჯვებთ, ჩვენ დავიცავთ იმ პირობებს, რაც სამშვიდობო შეთანხმებაში გავაფორმეთ. როდესაც ეს მოახსენეს და თავიანთი ქონება უკან დაუბრუნეს, მათ უთხრეს: ალლაჰმა უკან დაგაბრუნოთ ჩვენს მმართველებად და მათ წინააღმდეგ დახმარება გიწყალობოთ. თქვენს ადგილას ისინი (ბიზანტიელები) რომ ყოფილიყვნენ, არაფერსაც არ დაგვიბრუნებდნენ, პირიქით, რაც დაგვრჩა, იმასაც წაგვართმევდნენ და არაფერს დაგვიტოვებდნენ. (აბუ იუსუფი, ხარაჯ, ტ. 1, გვ. 139.)

2. შეიხულ ისლამის პოზიცია:

როდესაც ყაზან-ყაენმა დამასკოზე გაილაშქრა, მის ტყვეებს შორის მუსლიმებთან ერთად მოხვდნენ პალესტინელი ქრისტიანები. მოგვიანებით შეიხულ ისლამ იბნი თეიმიას თხოვნით მუსლიმი ტყვეების გაათავისუფლებაზე დათანხმდნენ. შეიხულ ისლამი ამით არ დაკმაყოფილდა და უთხრა: არა, ყველა ტყვე უნდა გაათავისუფლოთ, იუდეველი იქნება თუ ქრისტიანი. ისინი ჩვენი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ჩვენ ტყვეობაში ვერ მივატოვებთ, ვერც ჩვენი რჯულის ხალხს და ვერც ჩვენს არამუსლიმ მოქალაქეებს. ბოლოს მისი დაჟინებული თხოვნის საფუძველზე ქრისტიანი ტყვეებიც გაათავისუფლეს. (იბნი თეიმია, ალ-ვასიტე, გვ. 617.)

მეექვსე: კარგი მოპყრობისა და სოციალური სოლიდარობის უფლება

უზენაესი ბრძანებს: „აღლაჰი თქვენ არ გიკრძალავთ კეთილ და სამართლიან მოპყრობას მათ მიმართ, ვინც არ გებრძვით თქვენი რჯულის გამო და არ გამოუყრიხართ სამშობლოდან. ჭეშმარიტად, ალაჰს უყვარს სამართლიანნი.“ (მუმთეჰინა, 60/8.)

ალლაჰის შუამავლი ﷺ ყოველთვის კეთილად ეპყრობოდა არამუსლიმ მეზობლებს: ის ყოველთვის კარგად ეპყრობოდა მათ, ჩუქნიდა საჩუქრებს და მათგანაც ღებულობდა. ერთხელ მან მიიღო ებრაელი ქალის მიერ მირთმეული შემწვარი ცხვრის ფეხი, რომელიც შემდგომ მოწამლული აღმოჩნდა. ის ნახულობდა მათ ავადმყოფობისას, ურიგებდა მოწყალებას და ვაჭრობდა მათთან.

- ერთხელ მედინაში ეთიოპიელი ქრისტიანები ჩავიდნენ და ალაჰის შუამავალმა ﷺ მათ დიდი პატივით გაუმასპინძლდა.

- მზრუნველობა-მოკლებულთა ზრუნვა ისლამური სახელმწიფოს ვალდებულებაა. იგი ხაზინიდან უზრუნველყოფს მათ საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, მზრუნველობა-მოკლებული მუსლიმია თუ არამუსლიმი.

და ბოლოს:

ეს გახლავთ არამუსლიმთა ზოგადი უფლებები, რომლებსაც საკუთარ თავზე ღებულობს ისლამის შარიათი. ამიტომ არავის აქვს უფლება, გამოვიდეს და გამოაცხადოს, რომ მუსლიმები არ იცავენ არამუსლიმთა უფლებებს. პირიქით, მუსლიმები არამუსლიმთა ძირითად ადამიანურ უფლებებს გაცილებით უფრო მეტად იცავენ, ვიდრე მუსლიმებს ეძლევათ არამუსლიმურ ქვეყნებში.

დასკვნა:

მუსლიმურ ქვეყნებში მცხოვრები არამუსლიმების ამ ძირეული უფლებების წაკითხვის შემდეგ, თქვენ გეცოდინებათ, რომ მუსლიმი ხალხი და ისლამის რწმენა წარმოადგენენ მშვიდობის, შემწყნარებლობისა და წყალობის განსახიერებას, როგორც ადამიანებს შორის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში. მუსლიმთა რელიგია - ეს არ არის ტერორიზმის რელიგია, როგორც არამუსლიმები წარმოაჩენენ, და არ წარმოადგენს საფრთხეს მათთვის, ვინც ცდილობს, რომ საფრთხეს წარმოადგენდეს.



კონფერენცია შედგა ქუვეითში

ტარიყ სამიი სულტან ალ-‘ისა

ისლამური მემკვიდრეობის აღორძინების აღორძინების
საზოგადოების თავჯდომარე.